# რბილი და ელასტიური იატაკის საფარების მოვლის რეკომენდაციები

## Tessera - რბილი იატაკის ფილების მოვლისა და დასუფთავების რეკომენდაციები

Tessera-ს რბილი იატაკის ფილები მზადდება პოლიამიდის (ნეილონის) ბოჭკოებისაგან, რათა უზრნველყოფილი იქნეს გამძლეობა და პირვანდელი იერსახის შენარჩუნება განსაკუთრებით მძიმე დატვირთვის კომერციულ ობიექტებში. ქვემოთ მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში, Tessera-ს რბილი იატაკის ფილების საექსპლუტაციო ვადა გახანგრძლივდება და პირვანდელი ვიზუალი გაცილებით უფრო ხანგრძლივი დროით იქნება დაცული. Tessera-ს მოსავლელად შესაძლოა გამოიყენოთ ხალიჩების წმენდის სტანდარტული მეთოდები.

### წმენდა იატაკის საფარის გამოყენებამდე

მოაცილეთ ზედაპირს ნებისმიერი ჭუჭყი, ქვიშისა დ მტვრის ნაწილაკები ფეხზე დასადგამი (ვერტიკალური) მტვერსასრუტით (რომლის საწმენდ ფეხს უნდა ჰქონდეს მექანიკურეად დარეგულირებადი ჩოთქი/ჯაგრისი).

### რეგულარული დასუფთავება

რეგულაური დასუფთავების სიხშირე დამოკიდებულია იატაკის დატვირთვაზე და დაბინძურების ხარისხზე.

- ✓ გაწმინდეთ ზედაპირი ფეხზე დასადგამი (ვერტიკალური) მტვერსასრუტით, რომლის საწმენდ ფეხსაც უნდა ჰქონდეს მექანიკურად დარეგულირებადი ჩოთქი/ჯაგრისი.
- ✓ რამოდენემეჯერ გადაატარეთ მტვერსასრუტი ერთსადაიმავე მონაკვეთს, რომ თავიდან აიცილოთ ქვიშისა დ მტვრის ნაწილაკების დარჩენა.
- ✓ მტვერსასრუტის ფეხის მოძრაობა წინ გასრიალებისას უნდა იყოს სწრაფი და უკან შედარებით ნელი.
- ✓ საჭიროების შემთხვევაში კონკრეტულ მონაკვეთებზე უნდა მოცილდეს ლაქები.

### პერიოდული მოვლა-დასუფთავება

ისეთ სივრცეებში, სადაც ხალიჩის ვიზუალს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, პერიოდულად საჭიროა დამატებითი ღონისძიებები.

- ✓ საფუძვლიანად დაასუფთავეთ მტვერსასრუტით
- ✓ საჭიროების შემთხვევაში კონკრეტულ მონაკვეთებზე მოაცილეთ ლაქები

- ✓ ღრმად ჩამჯდარი მტვრისა და ჭუჭყის მოსაცილებლად გამოიყენეთ ცხელი წყლის მიფრქვევის მეთოდი (იმ შემთხვევაში თუ მტვერსასრუტით გაწმენდამ არ მოგცათ სრულყოფილი შედეგი)
- ✓ გაითალისწინეთ რომ ცხელი წყლით გაწმენდიდან იატაკის საფარის გამოყენებამდე სასურველია გავიდეს 24 სთ.

## ლაქების წმენდა

- ✓ ლაქების გასაწმენდად დაგჭირდებათ მშრალი და სუფთა თეთრი ქსოვილი და pH - ნეიტრალური გამწმენდი საშუალებება. გაწმენდა უნდა განხორციელდეს დაბინძურებული მონაკვეთის კიდეებიდან ცენტრის მიმართულებით და შემდეგ მოირეცხოს სუფთა წყლით;

პროდუქტის დაზიანებისა და გაუფერულების თავიდან აცილების მიზნით, არ გამოიყენოთ მათეთრებელი საშუალებები.

## საუკეთესო პრაქტიკა - რჩევები იატაკის ეფექტური დასუფთავებისა და მოვლისათვის

### ზოგადი რჩევები

ყველა ახლადდაგებული იატაკი უნდა დაფაროთ შესაბამისი დამცავი ფირით, რომელიც არ დატოვებს ლაქებს.

### მოაწყვეთ სპეციალური დამცავი სისტემები შესასვლელებთან

შენობაში გარედან შესავლელ ყველა კართან უნდა მოეწყოს ტალახისა და ჭუჭყის შემაკავებელი შესაბამისი სიგრძის ხალიჩა (რეკომენდებულია მინიმუმ 6 მ), რომელიც თითქმის 80%-ით ამცირებს გარედან შემომსვლელების ფეხსაცმლის ლანჩებით შემოტანილი ჭუჭყის რაოდენობას. კვლევებით დადასტურებულია, რომ Forbo Coral ან Nuway სისტემები, 94%-ით ამცირებს ჭუჭყსა და სისველეს ფეხსაცმლის ლანჩებიდან, ამცირებს იატაკის მოვლა-აღდგენისათვის საჭირო დანახარჯებს და დაცემის რისკს.

### დასუფთავება

- ✓ რეგულარი წმენდა ბევრად უფრო მომგებიანი და ბიუჯეტურია, ვიდრე იშვიათი ხასიათის საფუძვლიანი წმენდა
- ✓ გამოიყენეთ საფარის მწარმოებლის მიერ რეკომენდებული საწმენდი საშუალებები
- ✓ აუცილებლად გაეცანით მწარმოებლის ინსტურქციებს საწმენდი საშუალებების გამოყენებამდე
- ✓ ყოველთვის დაიცავით ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესები, რომელიც მოყვება პროდუქტს

### როგორ მოვაცილოთ ლაქები?

ნებისმიერი ლაქა უნდა გაიწმინდოს შემჩნევისთანავე. ლაქების უმრავლესობა მარტივად სცილდება ზემოთ მოცემული რეკომენდაციით. არ გამოიყენოთ საშუელებები მაღალი pH-ით, ასევე მათეთრებლით ან ძლიერ გამხსნელებით.

- ✓ მშრალი ნარჩენები უნდა მოცილდეს ხელით და შემდეგ მტვერსასრუტით.

- ✓ საღეჭი რეზინისაგან დარჩენილი კვალი უნდა გაიწმინდოს შესაბამისი გელის ტიპის საღეჭი რეზინის მოსაცილებელი საშუალებით.
- ✓ თუკი ლაქა გაშრობის შემდეგ ხელახლა გამოჩნდა ზედაპირზე - დარწმუნდით რომ გაწმენდის შემდეგ სრუალდ მოაცილეთ საწმენდი საშუალება. შესაძლოა ხელახალი დალაქავება გამოწვეული იყოს სწორედ მისი ნარჩენებით.

ნებისმიერი საწმენდი საშუალება უნდა დაიტესტოს ხალიჩის ნიმუშზე, ან დაგებული საფარის შეუმჩნეველ მონაკვეთზე!

## რეკომდენებული საწმენდი საშუალებები

Forbo Flooring Systems რეკომენდაციას უწევს მხოლოდ pH ნეიტრალურ, არა აქაფებად საშუალებებს, რომელიც გამოსადეგია ნეილონის ბოჭკოების წმენდისათვის.

თუკი აპირებთ გამოიყენეთ სხვა კომპანიის წარმოების საწმენდი საშუალებები, სასურველია გაიაროთ კონსულტაცია იატაკის საფარის მომწოდებელთან.

## Polis - ჰომოგენური ვინილის მოვლისა და დასუფთავების რეკომენდაციები

დასუფთავების თანამედროვე ყოველდღიური მეთოდები, მიზნად ისახავს სველი წესით დალაგების საჭიროების შემცირებას და მის ჩანაცვლებას მშრალი წესით წმენდის ტექნიკებით. დღეისათვის განსაკუთრებული აქცენტი გადადის წინასწარ დასველებული და კარგად გაწურული მოპებით წმენდაზე, ისევე როგორც მანქანურ წმენდაზე, რაც დასუფთავებას უფრო მარტივს ხდის და ამასთან ბევრად ნაკლებ გავლენას ახდენს ოთახში ჰაერის ხარისხზე და ზოგადად გარემოზე (ნაკლებად გამოიყენება დასუფთავებისათვის განკუთვნილი ქიმია და იხარჯება ნაკლები სუფთა წყალი).

Graboplast-ის წარმოების იატაკის საფარებს, სპეციალური დამცავი ფენის წყალობით, მინიმუმამდე დაჰყავთ ქიმიური საწმენდი საშუალებების გამოყენების აუცილებლობა.

### პრევენციული ღონისძიებები

- ✓ შენობაში გარედან შესავლელ კართან დააგეთ შესაბამისი ზომის (შენობის დატვირთვიდან გამომდინარე) ტალახისა და ჭუჭყის შემაკავებელი ხალიჩა, რომელსაც თითქმის 90%-ით შეუძლია შეამციროს გარედან შემომსვლელების ფეხსაცმლის ლანჩებით შემოტანილი ჭუჭყის რაოდენობა.
- ✓ რაც უფრო ნაკლებია შენობაში გარედან შემოტანილი ჭუჭყი და მტვერი, მით ნაკლები ენერგია და რესურსი იხარჯება იატაკის მოვლაზე.
- ✓ ვინილის იატაკზე ხანგრძლივი ვადით დასადგამად განკუთვნილ ბორბლებიან მოწყობილობებზე, უნდა იყოს ბრუნვადი გორგოლაჭები, რომლებიც დამზადებული უნდა იყოს პოლიურეთანისგან. თუ კი ეს შეუძლებელია, მაშინ რეზინის ბორბლებსა და ვინილის იატაკს შორის გამოყენებულ უნდა იქნეს დამცავი შუასადებები.
- ✓ ვინილის იატაკზე დასადგამი ავეჯი, სკამებისა და მაგიდების ფეხები უნდა აღიჭურვოს რბილი საფენებით, მაგალითად - თექის საფენებით.

### ყოველდღიური წმენდა

- ✓ ყოველდღიური დასუფთავებისათვის საკმარისია მშრალი წესით ან ტენიანი მოპით მოწმენდა;
- ✓ მანქანური წმენდა: გამოიყენეთ კომბინირებული საწმენდი მანქანა ნაკლებად უხეში ჯაგრისით ან წითელი პადებით;
- ✓ საწმენდი საშუალებები: როდესაც აუცილებელია სველი წესით დალაგება, გამოიყენეთ pH ნეიტრალური (არავითარ შემთხვევაში აბრაზიული და ან გამხნელის ბაზაზე დამზადებული!) ან მსუბუქად ტუტოვანი გამწმენდები (pH 7-10);
- ✓ გაფრთხილება: აუცილებლად მიყევით მწარმოებლის ინსტუქციას დოზირებისა და გაზავების პროპორციის შესახებ!

### პერიოდული საბაზისო წმენდა

- საბაზისო წმენდის საჭიროება და სიხშირე დამოკიდებულია იატაკის საფარის დატვირთვაზე. ზოგადი რეკომენდაციით საბაზისო წმენდა საჭიროა 1-3 თვეში.
- იდეალური მეთოდია იატაკის საფუძვლიანი წმენდა მანქანური მეთოდით. დარმწუნდით, რომ თქვენ მიერ საფუძვლიანი წმენდისათვის შერჩეული პადი შეესაბამება

შესასრულებელ სამუშაოს. საუკეთესო შედეგის მისაღებად, საჭიროა წუთში 500-1000 ბრუნი და წითელი პადი. რაც უფრო მეტია საწმენდი აპარატის სიჩქარე (ბრუნი წუთში), მით უფრო იდეალურ ზედაპირს ვიღებთ.

- თუკი ზემოხსენებული მეთოდებით ვერ იღებთ სასურველ შედეგს, გამოიყენეთ ზედაპირის მოხვეწის/პოლირების მეთოდი. დეტალური რეკომენდაციებისათვის აუცილებლად დაუკავშირდით იატაკის საფარის მწარმოებელს ან მის წარმომადგენელს.
- წმენდა ძლიერი დაბინძურების შემდეგ: დაიტანეთ საწმენდი საშუალება (დასაშვები მჟავიანობა pH13-14) იატაკის საფარზე და დაელოდეთ 10-15 წუთი, რომ საწმენდმა საშუალებამ მოახერხოს საფარში შეღწევა. დაასუფთავეთ იატაკი ერთდისკიანი საწმენდი მანქანითა და წითელი პადით. სველი მტვერსასრუტით დაუყოვნებლივ აიღეთ იატაკის საფარიდან დაბინძურებული წყალი და მორეცხეთ სუფთა წყლით. ზედაპირის გაშრობის შემდეგ, დაიტანეთ დაცვისა და მოვლის შესაბამისი საშუალება (მასტიკა, ლაქი და ა.შ.).

# ModularT 7 - ვინილის დიზაინერული ფილის მოვლისა და დასუფთავების რეკომენდაციები

## ზოგადი რჩევები

- ✓ რეგულარულად გაასუფთავეთ იატაკის საფარი, რადგან ეს უფრო ეკონომიური და ამავდროულად ჰიგიენურია, ვიდრე პერიოდულად საბაზისო წმენდა.
- ✓ ყოველთვის ყურადღებით მიჰყევით პროდუქტზე დატანილ მითითებს და დოზირების წესებს.
- ✓ დაუყონებლივ მოაშორეთ ნებისმიერი ცხიმი და დაღვრილი ზეთი, რადგან ამან შეიძლება დააზიანოს ზედაპირი.
- ✓ ელასტიური იატაკები ზიანდება გამხსნელებით.
- ✓ შავი რეზინის ბორბლემბა შესაძლება დალაქოს ვინილის ფილების ზედაპირად. შესაბამისად, ყველა სკამს უნდა ქონდეს ხარისხიანი ფეხი. თექის საფენი არ არის რეკომენდებული კომერციულ ინტერიერებში. უმჯობესია მყარი პლასტმასის მასალა.
- ✓ გასათვალისწინებელია, რომ ღია ფერის ფილებს უფრო ხშირად სჭირდება გაწმენდა

## პრევენციული ზომები

**შესასვლელი ხალიჩა**

ზედაპირის დაბინძურების დაახლოებით 80%, შემოტანილია გარედან. ამ დაბინძურების 90%-ის აცილება შესაძლებელია ეფექტური და სწორად შერჩეული შესასვლელი ხალიჩით. რაც უფრო ნაკლები ჭუჭყიანი შემოდის შესასვლელიდან, მით ნაკლებია მოვლის სიხშირეც.

## ყოველდღიური და რეგულარული წმენდა

- ✓ მშრალი მოწმენდა - აიღეთ მტვერი და ჭუჭყი მშრალი მოპით ან მტვერსასტურით (როდესაც დიდია ფართობი, ან ინსტალაციის მერე პირველად ხდება დასუფთავება).
- ✓ სველი წმენდა - გამოიყენეთ წყლით ან სარეცხი საშუალებით დასველებული და კარგად გაწურული ქსოვილი. აუცილებელია, რომ წყალი არ დარჩეს ზედაპირზე (არ წარმოქმნას თუნდათ უმნიშვნელო ფენა), იატაკი სრულად მშრალი უნდა გაწმენდიდან 15-20 წამის შემდეგ.
- ✓ კომბინირებული ჩოთქიანი მანქანით წმენდა - გამოიყენება შედარებთ დიდი ფართობისთვის. გამოიყენეთ pH ნეიტრალური საწმენდი საშუალება. მანქანის სიჩქარე უნდა იყოს რეგულირებადი, საშუალოდ 300-500 ბრუნი/წუთში. გამოიყენეთ ნეილონის ჩოთქი და არა თეთრი ან კრემისფერი.
- ✓ Rotowash -ის ხელსაწყოთი წმენდა - მოაფრქვიეთ იატაკის ზედაპირზე გაზავებული საწმენდი საშუალება და გაწმინდეთ დანადგარით, რომელიშიც არის სუფთა წყალი, ან წყალში გაზავებული საწმენდი საშუალება.

**ლაქების მოცილება:**

დაუყონებლივ მოაცილეთ ლაქა, თეთრი/წითელი ნეილონის პადით, რომელიც დასველებული იქნება წყალში გაზავებული საწმენდი საშუალებით (გამხსნელები არ უნდა იქნას გამოყენებული). გაწმენდა უნდა განხორციელდეს დაბინძურებული მონაკვეთის კიდეებიდან ცენტრის მიმართულებით. არ დატოვოთ ლაქების ამომყვანი ზედაპირზე. აუცილებლად მორეცხეთ სუფთა წყლით!

## პერიოდული წმენდა

- ✓ გამოიყენეთ pH ნეიტრალური საწმენდი საშუალება და კომბინირებული საწმენდი დანადგარი. მანქანის სიჩქარე უნდა იყოს რეგულირებადი, საშუალოდ 300-500 ბრუნი/წუთში. გამოიყენეთ წითელი პადი.
- ✓ ძლიერი დაბინძურების შემთხვევაში, გამოიყენეთ Rotowash (წყალში გაზავებული pH ნეიტრალური საწმენდი საშუალებით)